2025 წლის 16 ივნისს შპს „გლობუსის” (ს/კ 406268186, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120060) მიმართ გამოყენებული ჯარიმის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხის განახლება: 24 ივლისი 2025

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2025 წლის 16 ივნისს „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 აპრილის №99/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სესხის გამცემი სუბიექტი - შპს „გლობუსის“ (ს/კ 406268186, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120060) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევისთვის (ერთი შემთხვევა) სესხის გამცემ სუბიექტ შპს „გლობუსს“ დაეკისრა ფულადი ჯარიმა.

ზემოაღნიშნული ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2025 წლის 11 ივლისს სესხის გამცემი სუბიექტი შპს „გლობუსის“ მიერ გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.